

# მარტინ

სამართლებრივი  
მთავრობის მუნიციპალიტეტი

მწყემსმან კეთილმან სული  
თვისი დაჭვის ცხოვართათვის  
ითან. 10—11.

№ 9

1883—1908 წ.

15 მაისი

იმპრეზოს მპარშის სამღელოების დეკუ-  
ტაციების უკანასკნელი პრეზის გამო.\*)

ერთი სერიოზული და მნიშვნელოვანი კითხვა, რომელსაც სამღელოების კრება უნდა აქცევდეს თვის უმთავრეს ყურადღებას, არის სანთლის ქარხნის წარმოების საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვან კითხვასაც არ მიაქცია ყურადღება უკანასკნელი სამღელოების კრების დეპუტატებმა. დეპუტატები ვერ ელირსა ჯეროვან ანგარიშს, თუმცა სამღელოების კრებაზე წინეთ იყო დადგენილი, რომ სანთლის ქარხნის წარმოების ანგარიში წინ და წინვე იბეჭდებოდეს ადგილობრივ გამოცემაში, მაგრამ არ იქნა და არა, რომ ეს ანგარიში დაბეჭდონ. ჯერთ სულ უბრალო კითხვების გარჩევით დალალვენ სამღელოების დეპუტატებს და როცა ერთი ორი დღის მეტი აღარ დარჩება ქუთაისში დარჩენისა მიაჩეხებენ რაღაცა ქალალდება დაწერილ ანგარიშის ციფრებს, სწორედ იმ დროს, როცა სამღელოების დეპუტატები სახლში მიეშურებიან. ამ დროს ყელაფერზე თანხმდებიან და კრიტიკულ განხილვაში აღარ შედიან..

უკანასკნელ კრებაზე უნდა აღრჩეულიყო სანთლის წარმოების საქმის მმართველი. სამღელოებამ აღირჩია ბლალობინი მღვდელი იუსტინე ფანცია და მღვ. სილოვან შებლაძე. რომელიც ეპისკოპოზისაგან იყო წარმოდგენილი. ორივეს თანასწორი კენჭი აღმოუჩნდათ. ბოლოს უნდოდათ კენჭის ყრა ხელახლა. დეპუტატმა სპირიდონ ლევაციშვილმა განუცხადა კრებას, რომ მღვდელი სილოვან შებლაძე დატვირთულია მრავალი შვილებით და ძლიერ ღარიბ მრევლში სცხოვრობს

და ამიტომ სამღელოების კრება ზნეობით ვალდებულია დაეხმაროს და გადმოიყვანოს ქუთაისში და შეძლება მისცეს რიგიანად ცხოვრებისათ. მამა ლევაციშვილს თანამოზრენი აღმოუჩნდენ კრებაზე. როგორც სხანს მამა ლევაციშვილი და მისი თანამოაზრენი უმთავრეს ყურადღებას აქცევენ როგორმე ნივთიერად გაჭირვებულს მღვდელს დაეხმარონ განსაკუთრებით ვისაც ცოდვანი შვილები ჰყავს და სანთლის ქარხნის წარმოების საქმე თავისთვალ კარგად წარმომართება!?. ბოლოს კრებამ გარდასწყვიტა: წარედგინოს ყ-დ სამღელოების და მან აღირჩიოს ის, რომელსაც საუმჯობესოდ იცნობდეს ამ ურთა შორისო. ამით სამღელოებამ თავის უფლებას უარი ჰყო და ყ-დ სამღელოები იღირჩიოს თოვლანის თხოვნაც მიეღო ამ თანამდებობის მიცემაზე და კრებას გაღმოსცა.

ამის შემდეგ წარმოსდგა კრების წინ შვართველად ყოფილი მღვდელი ამ. ფოთხაძე, დაიკავა ხელში ერთი ნაგლეჯი ქალალდი და დაიწყო კითხვა სანთლის ქარხნის და სანთლის საწყობის საქმის წარმოების ანგარიშისა. ამა და ამ თვეში შემოვიდა ამდენი ათასი მანეთი, ამა და ამ თვეში შემოვიდა ამდენი ათასი მანეთი, ამა და ამ თვეში შემოვიდა ამდენი ათასი მანეთი და ამ თვეში შემოვიდა ამდენი ათასი მანეთი და ამ შემოსავლის ანგარიშს მოუთხრობდა კრებას სანაშ ოცდა ხუთი ათას მანეთს არ აღმატა. დეპუტატები, აღტაცებაზი მოსულნი ამდენი შემოსავლით, აღგნენ და ფეხზე დგომით დიდი მაღლობა გამოუტადეს. შეაწყვეტინეს ანგარიშის კითხვა, რაღაცან უმნიშვნელოდ მიიჩნიეს ანგარიშის კითხვისათვის დროს დაკარგვა!.. დეპუტატების ამისთანა აღფრთოვანებით ისარგებლეს „კონტროლერებმა“ მამა ი. ტაბიძემ, მღვ. დევიძემ და თომა დუგლასმარტინოვეს სახელმწიფო რესპუბლიკის მთავრობის მისამართობის სამართლებრივი მუნიციპალიტეტი

\*იხლე „მწემსი“ № 8 1907 წ

თხოვნა კრების თავმჯდომარეს და ითხოვეს ფულით ჯილდო, რადგან სანთლის შემოსავლის კეთილად წარმატება არ მოხდებოდა, რომ მათ მეტი შრომა არ მიეღოთ და არ დაეცეათ სანთლის საწყობის ინტერესები...

დეპ. დეპ. დ. დამბაშიძე. ძლიერ გასაკვირვლად მიმართ დეპუტატების ზოგიერთი მსჯელობა ამ უკანასკნელ ხანებში. ბევრად უკეთესად სჯიდნენ და აზნოვნობდნენ წინეთ დეპუტატები როცა სემინარიელები თრი-სამის მეტი არ იყო. დღეს როცა სემინარიელები ამდენი ესწრებიან და როცა უკეთეს მსჯელობას მოელი მათგან ისეთ უსაფუძვლო მსჯელობას ხედავ, რომ კიდევ გერუცვინება მისი გამხელა შეგნებული საზოგადოებისათვის. ავილოთ თუ გინდ ეხლანდელი კრების რეზოლუცია. ფეხზე დგომით გამოუცხადეთ მადლობა მამა ამ. ფოფხაძეს და რაზედ? ერთი თქვენგანი ვერაფერს ვერ იტყვის. იმას ხომ ანგარიში არ დაუსრულებია, ან რა შეტყვეთ თქვენ? სანთლის ქარხანაში ცვილი სანთელი და დამზადებული მრავალჯერ გაიყიდება, მაგრამ წმინდა მოვებას აქედგან ვერ შეიტყობთ. თქვენ უნდა გეკითხათ: რამდენი შემოვიდა ფუთზე წმინდა მოვება და მაშინ გაიგებდით ჩვენი სანთლის მდგომარეობის საქმეს. აგრე წინაზე ერთი პატივუცემული შმართველი დეპ. ბრძანებდა, რომ წმინდა ხალასი მოვება თოთხმეტი ათასი მანეთი მაქვსო, მაგრამ ბოლოს იღმონდა, რომ მიბარებულ ფულს 14,000 გ. აკლდა ასი მ.., ხალასი მოვება ერთი გროვიც არ ჰქონდა!

1897 წელში როცა მე ვაწარმოვებდი სანთლის საქმეს 8000 მანეთამდე შემოვიდა. იმდროს აქეთ სანთლის წარმოების საქმე უფრო გავრცელდა. გთხოვთ შემატყობინოთ, გ. ამშროსი, რამდენი გაიყიდა სანთლის საანგარიშო წელში?

დეპ. ამ. ფოფხაძე. სანთელი გაიყიდა 740 ფუთი.

დეპ. დ. დამბაშიძე. რა დაგვაჯათ თითო ფუთი?

როგორ ყიდულობთ ფუთს დამზადებულს სანთელს?

მდ. ამ. ფოფხაძე. დამზადებულ სანთელს ცის მიზანიდა.

დეპ. დ. დამბაშიძე. მაშასადამე ფუთში მოგიგიათ თქვენ ერთი თუმანი. 7400 გ. შემოგივი და წმინდა მოვება?

მდ. ამ. ფოფხაძე. დიალ 7400 გ. უნდა იყოს წმინდა მოვება.

დეპ. დ. დამბაშიძე. თქვენ მართალს არ ამბობთ. ჯამაგირს რას იღებს შმართველი? სახლის ქირას რას აძლევთ? დასაზღვევს რას იხდით? საყარეულოს რას აძლევთ? გამოიანგარიშეთ ყველა ესები და მითხარით წმინდა მოვება რა დაგრჩა?

დეპ. ა. ტაბიძე. რამდენი შეიტანეთ სასწავლებლებში და რამდენი დაგრჩათ ფულები სთქვით?

დეპ. დ. დამბაშიძე. ტყუილა ექმარებით, მამათ, იუსტინე. მაგას არავინ ჰკითხავს მ. ფოფხაძეს. გამოიდით ყველა ხარჯებს და წმინდა მოვება რა რჩება სამღვდელოებას, აი ეს გვითხარით. როცა დაგვიტკიცებთ, რომ წმინდა მოვება მეტი ყოფილა მაშინ გამოგიცხადებთ მადლობას, თორემ, მე როგორც ვხედავ, თქვენ სამღვდელოების მადლობა არ გეკუთვნის. წინანდელ 8000 მანეთზე კი არ მოგიმატნიათ ორი ათას მანეთამდე დაგიკლიათ და რაზედ უნდა გამოგეცხადოსთ მადლობა, ან რევიზორებს რაზედ უნდა მიეცესთ საჩუქარი როცა მათ რევიზორობაში იმდენი სანთლის ფულია წაღებული გარეშე პირებიდან, რომ არასოდეს არ გატანილა სანთლის საწყობიდან ამდენი ფულები.

რევიზორები. ჩვენ გვწერდეთ ფულები მიეცითო და იძლევდეთ. რას ვიზემდით ჩვენ?

დეპ. დ. დამბაშიძე. გთხოვთ თქვენი ერთი პროცესი მაინც წაგვიკითხეთ, რომ თქვენ ასე უთავგბოლოდ ფულების გასესხებისა წინააღმდეგი იყავით. სანთლის საწყობი გახრევილია და თქვენ კი ჯილდოს თხოვილობთ, რადგან საქმე კარგად მიღიოდა დიალ, კარგად მიღიოდა საქმე და კარგი კონტროლერობა გაგიწევიათ!..

ეტყობა ანგარიშს, რომ დიდად დახმარებითართ... რად ფარავთ ანგარიშს? რატომ არ აცხადებთ რა ჰქონდა სანთლის საწყობს შემოსავალი და რაში რამდენი დაიხარჯა? ვის გაუგონია ნაგლეჯ ქალალდებზე ანგარიშის წერა? რატომ არ გამოგზავნეთ ანგარიში დასაბეჭდათ? თუ კი სხვაგან სავალდებულოდ მიაჩნიათ ანგარიშების გაზეთებში ბეჭდვა ჩვენში რატომ არის სასირცხოლ მიჩნეული ანგარიშების ბეჭდვა?

საქვეყნოდ გამოცხადება ანგარიშებისა ესირცხვება მხოლოდ მათ ვინც სიბნელით სარგებლობს. სიბნელის მოტრფიალე ჩვენში ხომ ბევრია!.. ყველაზე მეტად სამწერაო ის არის, რომ ჩვენში ამ სიბნელით მოტრფიალეთა თაყვანსა სცემენ და მათ რჩევაზე დადიან!..“

სხდომა გათავდა ისე, რომ ვერც ერთმა დეპუტატმა ვერ გაიგო, თუ რამდენი შემოსულა წმინდა მოვება სანთლის ვაჭრობიდან საანგარიშო წელიწადში. ამ გაუგებლობას ხელს უწყობდა მამა იუსტინე ტაბიძე, რომელიც ვექილივით იდგა და იცავდა მაართველს.\*)

ღმერთ წინაშე დასაძრახვი არ არის მამა ტაბიძე, რომ დაეხმაროს თავის მონათესავეს, მაგრამ საზოგადოების საქმეში ნათესაობას კაცმა ყურადღება არ უნდა მიაქციოს.

საღამოის ერთს სხდომაზე თავსმჯდომარებ მისცა კრებას კითხვა, რომ აღერჩიათ რევიზორ-კონტროლერები სანთლის საქმის წარმოებისა. ცოტა ხნის ბასის შემდეგ კრებამ აღირჩია ამ თანამდებობაზე დეკ. დ. ღამბაშიძე, მღვ. მ. შანიძე და მღ. ჩოხონელიძე.

დეკ. დ. ღამბაშიძე რადგან სასყიდელი არ დაუნიშნეს კონტროლერებს თითქმის ყველა უარს ამბობს რევიზორობაზე. ეს სირცხვილია

ჩვენთვის. სადა აქვს ჩვენს სანთლის ქარხანას იმდენი საშუალება, რომ უფელები ასე უთავბოლოდ აძლილს ჯამაგრები. მე დიდის სიამოვნებით ვიკისრებ, რასაკვირველია, სხვებთან ერთად რევიზორობას მხოლოდ იმ პირობით, რომ კრებამ ეხლავე გამოგვიცხადოს თუ რა უფლება გვექნება ჩვენ.“

კრებამ მოსთხოვა ღამბაშიძეს თუ როგორი უფლება სურს მას ექმნეს როგორც სანთლის წარმოების საქმის რევიზორს. „მე მსურს, განაცხადა დეკ. დ. ღამბაშიძემ, რომ ყოველ დროს მოვახდინოთ რევიზია როგორც სანთლის საწყობში ისე სანთლის ქარხანაში და რაც სანთლის საქმის წარმოებას ხელს შეუწყობს მოვაყვანინოთ სისრულეში; მოვახდინოთ ფიცხელი კონტროლი სანთლის ცველის შემოწმებაში. ამასთან არავის არ მიეცეს ფულების სესხების უფლება სანთლის საწყობიდან, როგორც ეს სწარმოებდა დღემდის და არავის არ ექნეს უყოლება სანთლის ფულები დაიხმაროს რამეზე სამღვდელოების კრების ნება დაურთველად.“

ზოგს ეს სიტყვები მოეწონა და ზოგინ კი მშობდენ, თუ ეს უფლება მიენიჭა ღამბაშიძეს მაშინ მშეიღობით! ნუღარავის ნუ აქვს იმედი სანთლის საწყობიდან ფულების გამოტანისა!..

კრებამ აირჩია ერთხმად დეკ. დ. ღამბაშიძე და წევრებად მასთან აღირჩია მ. შანიძე და მ. ჩოხონელიძე. ამით გათავდა კრება და სხდომა მეორე დღისათვის გარდაიდო.

დამსწრე.

(გაგრძელება უფროსინტერესო იქნება.)

~~X~~ იმარტის ეპარქიის საღვდელოების საზურადლებლი.

4 ივნისისთვის დანიშნულია იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება. რა თქმა უნდა ეფელ დეპუტატის მოვალეობაა, წინ და წინვე გაითვალისწინოს ის საკითხები, რომელიც მან ასე თუ ისე უნდა გადასწევილო. მე მინდა მივაქციო სამღვდელოების ურადღება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელზე. კრებას სხვათა შორის მოხსენდება მდგრამა ამ სას-

\*) უნდა იცოდეთ, რომ ფო—ძე, ტაბიძე, ლე—ლი, ფხა—ძე და ჭეიშვილი ნათესავები არინ და ამისათვის მიიტანეს იერიში ბესარიონ ეპისკოპოსის დროს, ღამბაშიძეზე, ჩამოართვეს სანთლის ქარხნის მაართველობა და ქველებურად დაისაკუთრეს მისი გამდებლობა. ჩვენი სამღვდელოება კი ერთს მაართველად ნიშნავს მეორე ნათესავს კონტროლერად და მიტომაც მიდის ჩვენი სანთლის ქარხნის საქმის წარმოება ასე კარგად!..

წევლებლისა. სამღვდელოებას მოსთხოვნენ ფულის გადადებას და რემნტის ფულს. სასწავლებლის შეკეთება (ჩემთქმა) აუცილებელია, ამას დამტკიცება არ უნდა იმისთვის, ვისაც შენობა უნახავს. „გრეთვე ამ სასწავლებლის შესახახი ფულიც უნდა იყისროს სამღვდელოებაში, თუ უნდა, რომ სასწავლებლის იარსებოს. წინა კრებებზე სამღვდელოება უარს ამბობდა სასწავლებლის შესახვაზე და თავის აზრს იმითი ასაბუთებდა, რომ ასეთი სასწავლებელი არ გვინდა, გადაჭრდეს გემნაზიად მერე შევინახავთ. ასეთი აზრი რა თქმა უნდა მოსაწონია.

ეხლა სასულიერო სასწავლებელში შროგრამის შეცვლილა — კურსი პროგრამისა\* აკლია მსოფლიდ ახალი ენები და ესეც იმართომ, რომ ფული არ არას მასწავლებლების დასაქართვებლად. ასებულ თხო კლასს რომ კადები შეიძარცოს თხის, გვექნება 8 კლასი (გიმნაზია). ეს კლასები სასულიერო სასწავლებლის შენობაში, თუ შესაფერი რემნტი იყისრა სამღვდელოებაში. მე ვფიქრობ, სამღვდელოების კრებამ იმას უნდა მაიკრიოს უმთავრესი უურაღდება, რომ როგორმე 8 კლასიანი სასწავლებელი ექმნება. ერთი მოსწავლე ბ., რომელმანაც სასულიერო სასწავლებელი დამზადა, თუაღმისის სემინარისში არ შიადეს; დაშვირდნენ: მოქმედება და მაისში დაგიშვებთ ეგზამენტზეთ. მაისიც მოვიდა, მაგრამ ამ მოსწავლეს ეხლა სემინარის მსაგრადისაცან შემდეგი შინაარსის ქაღალდი მოუვიდა: „ეგზამენტზე დაგიშვებთ მარიაშიბის თვეში იმ შემთხვევაში, თუ იმერქოს სამღვდელოება შემთხვევის ტიფილისის სემინარის შესანახულს (90<sup>6</sup>/7, 190<sup>7</sup>/8, და 190<sup>8</sup>/9 წლებისათ), აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოიყენოს კაცმა, რომ უბეთუ იმერქოს სამღვდელოება არ შეიტანს ამ წლების ფულს ტიფილისის სემინარისში, არც იმათ მიაღებენ იქ ვინც ეხლა ათავებს კუთასისას. სასწავლებელს (53 მოსწავლე, და შეიძლება ისინიც დაითხვონ, ვინც ეხლა იქ სწავლობს. თუ ამ ფულს გადაიხდას სამღვდელოება, უკეთესი არ იქნება 4 კლასა ქუთასშავე მოუმატოს სასულიერო სასწავლებელი? შეიძლება ეთხოვთ მთავრობას, ისიც დასთანხმდეს და ამ სასწავლებელს გადასცეს ის ფული, რომელიც ქვთ. სემინარისთვის არას გადადებული.

სათოქებულია, რომ ასეთი სასწავლებელის დარსებას მთავრობა დასთანხმდეს, რადგან რესეტში კადეც გაუსწინია ასეთი სასწავლებელი. თვით ქვთ. სასულიერო სასწავლებელია ამ დღეებში მიიღო ქაღალდი

სინდიდისა, რომელშიაც სწერია: „ქვთ. სემინარის ბიბლიოთეკა გვიჩუქნია სასულიერო სასწავლებლისთვის, მხოლოდ იმ პირობით, რომ უკეთუ ქუთასისში გაიხსნა სასწავლებელი საშეადო სასწავლებლის კურსით, მაშინ ეს ბიბლიოთეკა მას გადაეცით“.\*)

## ~~X~~ გიორგობა.

დღევანდელს დღეს ეწოდება „გიორგობა“, მიტომ რომ წმიდა ეკკლესია ლოცვით იხსენიებს წმ. გიორგის ცხოვრებას და ლვაწლს.

წმიდა გიორგის დიდი პატივით სიყვარულით იხსენებს განსაკუთრებით საქართველოს ეკკლესია და ხალხი. ეს სიყვარული წმ. მოწამისა გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს ეკკლესიამ დააწესა საუთორად დღესასწაული წმ. გიორგისა გარდა 23 პარილისა, კიდევ 10 ნოემბერს და ხალხმა კიდევ შესწირა ეს თვე წმ. მოწამეს და უწოდა მას სახელით გიორგობისთვე; საქართველოს უცელა კუთხეები — ამერეთ იმერეთში, რაც უფრო დიდი და პატივცემული ეკკლესია — სალოცავებია, აგებულია წმ. გიორგის სახელზე, ხალხს სწამს წმ. მოწამის ძალი და კალნიერება წინაშე მღვთისა და ამიტომ მაღის ამ სალოცავებში წმ. გიორგის თაყვანის საცემლად. სოფლებიც კი არი წმ. გიორგის სახელზე (მგ ს. გიორგი წმინდა კახეთში), ხოლო სახელი „გიორგი“ ხომ ისრევე გავრცელებულია ქართველ მამა კაცთა შორის, როგორც „მარიამი“ და „თამარი“ ქალთაშორის.

რატომ არის, რომ ქართველი ხალხი ამ რიგად პატივს სცემს წმ. გიორგის? მიტომ, რომ, თანხმად გარდმოცემისა, რომელიც არ უნდა იყოს მოკლებული ნამდვილს ისტორიის ნიადაგს, წმ. გიორგი იყო ტომით კაპალოკიელი ქართველი, ახლო ნათესავი წმ. ნინოსი, ჩვენი განმანათებელისა; მიტომ, რომ მისი მოწამებრივი ლვაწლი ესოდენ დიდი იყო, რომ ეკკლესიამ არ აკმარა მას ჩვეულებრივი სახელი მოწამისა და ზედ დაართო წოდება „დიდი და მთა-

\*) ჩვენ ეს წერილი გახეთ „ამირანი“. დან გადმოვცეკლეთ არა მიტომ რომ ვითომ რამე მნიშვნელობას გამდევდეთ მას. ამ სტატიას მიზნათ აქვს დასახული სამღვდელოების მოტულება. ამაზე დაწვლილებით შემდეგ ნომერში მოუთხობდეთ მეიოხველებს.

ვარ” მოწამისა; კვალად მიტომე რომ წმ. გიორგი იწამა ქრისტესთვის ახლო იმ დროსთან, როცა ქართველები განათლდნენ ქრისტეს სწავლა-მოძღვრებით.

არის მსგავსება წმ. გიორგის ცხოვრების და ქართველთა ისტორიულ თავგადასვალის შორის. ბევრი ტანჯვა, წამება და წვალება დაითმინა წმ. გიორგიმ მრისხან დეოკლიტიანესაგან ქრისტესთვის და მისი რჯულისთვის და მიიღო კიდეც გვირგვინი მოწამისა. ბევრი სისხლი დასთხია, ძვირფასი და სასიქადულო შეილელების სისხლი შესწირა ქართველმა ქრისტეს სჯულს; მთავარ მოწამის გიორგის ხატი დროშაზე და გულზე ამნევებდა ქართველს მხედრებს და წამებულებს ურჯულოებთან შეტაკების დროს, ამრიგათ ქართველმა ერმა წმ. გიორგი გაიხადა ეროვნულ წმინდათ, ქართველთა მფარველპატრიონად და ყველა გაჭირვებაში მიმართავდა მას. ქართველმა ერმა დაიმსახურა სახელი ჯვაროსანი ერისა, სახელი მოწამისა და ქრისტესთვის წამებული ერისა.

იცვალნენ დრონი. ქართველს ხალხს კარზე მოადგა მტერი არა ნაკლებ მედგარი და ძლიერი იმაზე, რომელიც უწინ მოსდგომია. ეს მტერი ეუბნება მას, არ არის ღმერთი, არ არსებობდა ქრისტე, რჯული, სარწმუნოება მოგონილია მღვდლებისგან შენ გასაყვლეფად და თავისი ჯიბების და მუცელების გასასქელებლად, რად გინდა ეკკლესია, შედენე შიგ ძროხები და ღორები, რად გინდა ხატები, მორთულ-მოკაზმული ოქრო ვერცხლი თვალ მარგალიტებით, აიღე ხელი რჯულზე, ანგრიე, სწვი, ანადგურე! სულმოკლენი ყოველთვის ყოფილან—იყვნენ უწინაც, გამოჩდნენ ეხლაც.

დაფიქრდი და ღრმად დაფიქრდი, ქრისტეს მოსახო ქართველო; მიიხედ-მიიხედე გარშემო, შენი დგეხარ დიდი და ღრმა ჯურდმულის პირზე, შენი შიგ ჩაგარდნა ადვილია, მაგრამ არც გადარჩენაა საძნელო. შეხედე ბუნებას, მან გაიღვიძა ცხოველს მყოფელი გაზაფხულის გავლენით ძილისაგან; გაიღვიძე შენც, რომელსაც დაგწოლია გულზე ურწმუნოების და ღვთის უარყოფის მაჯლა-ჯუნა, გაიღვიძე ცოდვილი ძილისაგან, შეისხი პირზე ცხოველი წყალი ქრისტეს სწავლისა, განიშორე ჭუჭუ შურიანობისა, მტრობისა, სიძულვილისა, ყოველივე მანკიერებისა და სიბილწისა; იარე

ეკკლესიაში, ისმინე იქ ქადაგებული სიტყვა ღვთისა, წმინდა გიორგისებრ მძღვე ექმენ ბოროტების ვეშაპს, გიყვარდეს მტრები, ევფლრ უფალს და გაყენოს გასწორების გზაზე; მაშინ ცხოველს მყოფელი სხივები მაცხოვრის სწავლისა გაათბობენ და დაალბობენ შენს გაქვავებულს დაბებულს გულს. წმიდა დიდი მოწამე და ძლევა მოსილი გიორგი გიძლოდეს შენ სარწმუნოების კეთილს გზაზედ. არქიმ. პირთამ.

## რუსეთი და ოსმალეთი.

(წერილი გერმანიიზან)

აგერ ორი თვეა რაც რუსეთის გაზეთები და განსაკუთრებით კი კავკასიის პრესსა დიდი აღელვებით განიხილავს ომიანობის საკითხს. როგორც ქართული გაზეთებიდან ამოვიკითხეთ ბევრმა ოსმალეთის ქვეშეგრდომა დასტოვა სოხუმის ოლქი და დაბრუნდა ოსმალეთში, რუსეთიდან ჯარები და იარადი გადაქვეთ ბათუმსა და ყარსისკენ.

ყოველივე ეს ცნობა ამაღლელვებელია თვით იმ ადგილზე მყოფთათვის, სადაც ეს მზადება ხდება, მაგრამ სრულიად სხვა მნიშვნელობა იქვე გარეშე მეთვალყურესთვის.

ჩვენ საჭიროდ ვთვლით მკითხველს ვაუწყოთ ეკრაპის აზრი ამ საკითხზე, რომ ამნაირად ბევრ ზღაპრულ გარდმოცემებს შესაფერი ფერი დავდოთ.

პირველ ყოვლისა კი საჭიროდ ვთვლით რა-მოდენიმე სიტყვით რუსეთის საგარეო შოთარიტიკაზე შევეხოთ ბაჟენის კუნძულის სახელმწიფოებთან და-მოკიდებულებაზე.

უკვე საუკუნეზე მეტია, რაც რუსეთი ცდილობდა და ცდილობს უპირველესი ადგილი ჰერნდეს სამალებითის ბედრლბალის გადაწყვეტაში, ამ მიზნით იყი ყოველთვის მონდომილი იყო თვისი გავლენა გაეძლიერებია კონსტანტინეპოლში, ამავე მიზნით იყო დაწყებულებაზე, რომელიც რუსეთის გამარჯვებით გათავდა, ამავე მიზნით რუსეთი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ბოლგარელთა და სერბიელთა მეგობრობას და წარსული პოლიტიკური ისტორია ამ ორ პატრა სამეფოთა, არა ერთ მაგალითს გვიჩვენებს რუსეთის ძლიერი გავლენისას. ბოლგარიას საეჭვე

სით საქმებში კი რუსეთის გავლენა თითქმის ბატონიშვილის უდრის.

შიურცულების ხელშეკრულობის ძალით 1897 წლიდან ბალკანის საქმებში საერთო მოქმედება ხელათ რუსეთს და ავსტრო-ვენგრიას. ამ ხელშეკრულობის ძალით ყოველივე გადაწყვეტილება ამ ორ სახელმწიფოთა ოსმალეთის საქმებში უნდა ერთი ერთმანეთის თანხმობით მომხდარიყო. მაგრამ ეს ეს ხელშეკრულობა ფაქტიურად უკვე დარღვეულია და აა აქ არის საშიში მხარე ამ საკითხისა.

ყოველი დაკვირვებული მკითხველისათვის ვინც პოლიტიკას და უბრალო ჭირს არჩევს ცხადია, რომ რუსეთს და ავსტრო-ვენგრიას მეგობრობა ვერ გაგრძელდებოდა დიდ ხანს. ამ მხრივ ამ ორ სახელმწიფოს სრულიად წინააღმდეგი მისწაფებრანი აქვთ.

რუსეთი შეზღუდულია თავის საერთაშორისო უფლებებში. მას უფლება არა აქვს შავი ზღვის სამხედრო ფლოტი სტამბოლს და დარდანელს გაიცილოს.

ავსტრო-ვენგრიას არა აქვს კარგი ნავსადგურები, რითაც მისი სავაჭრო განვითარება შეზღუდულია, ამიტომ იგი ცდილობს ოსმალეთის ნავთადგურებთან რკინის გზებით შეერთობას, რაიცა უკვე გადაწყდა მით რომ ოსმალეთმა ნება დ რთო ავსტრო-ვენგრიას საჭანიგაშვერკინის გზის გაყვანისა. ამ რკინის გზას დიდი მნიშვნელობა აქვს ავსტრო-ვენგრიას მომავალი განვითარებისათვის. რადგან იგი შუაზე სჭრის ოსმალეთის სამეცნოს და ამ ნაირად ხშელთა შვა ზღვას უერთდება, როდესაც გაზეობება გამოაქვეყნება ეს ამბავი, დიდი აურზაური არყდა; ეს გარეშე, რომ ამჟამად რუსეთსა და ავსტრო-ვენგრიას მეგობრობაზე ზედ მეტია ლაპარაკი, რადგან იგი უკვე შეწყვეტილია.

ამასთანავე გავარდა რმა ოშიანობისათვის მზადებაზე. ცხადია, რომ ავსტრო ვენგრიას გაძლიერება ბალკანზე, რუსეთის დასუსტებას ნიშნავს, მაგრამ ამ მთვლენას უნდა შეურიგდენ ის მთვლევენი, რომელთაც იქრუსალიმის მართლმადიდებელი საზოგადოების დაასახიერებით და რესის ბერების პალესტინაში გადასახლებით უნდოდათ საგარეო მოდიტივა და ეცვათ.

როდესაც ევროპის სახელმწიფოში, რომელიმე კულტები გამაგრებას ფიქრობენ ისინი გზავნიან მისიონერებთან ერთად ფულს და ვაჭრებს. რუსეთი

კი მათ მაგალითს ვქრ წაბაძვს, რადგან მის გაჭრობას საზღვარ გარეთ ამ უამაღ ძრიელ მცირებული მნიშვნელობა აქვს.

ამ ნაირად ჩვენ დავინახეთ რომ ასტრიო ვენგრიის მოქმედებამ რუსეთი ააღელვა, მზადება დაწყებინა, მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ავსტრიას უკან სდგას გერმანია, რომელიც ეგრეთვე დაინტერესებულია რუსეთის შესუსტებაში ოსმალეთში და ამ ნაირად მხარს უჭერს ავსტრიის პოლიტიკას.

ამით წათამაშებული ოსმალეთი ჩვეულებრივ ძილიდან ერკვევა და ვითომდა მზადებას იწყებს.

მგონი მკითხველს არ დავიწყნია ოსმალეთის ჯარის შესევა სპარსეთის საზღვარზე, რომელიც როგორც იქნა ეხლა გათავდა. იყითხავთ, რა უნდოდა ოსმალეთის ჯარს სპარსეთში? ამის შიზეზი შირველ უფლენს სპარსეთის კონსტიტუციას, რომელიც ძალს უფრთხოების ასშაბადის მთავრობის და მეორე მხრივ განვითარების უფეხი მცირე აზიაში.

ასეთია საქმის ვითარება წარსულში და ამ უამაღ.

ეხლა შეუდგეთ მის გამორკვევას მოსალოდნელია ომი თუ არა?

ინგლისის მინისტრის გრეის წინადადება შემდეგ საშუალებას იძლევა საკითხის გადასაწყვეტილ. იგი მოითხოვს მაკედონიისათვის გენერალ გუბერნატორის დანიშვნას ოსმალეთის ქვეშევრდომთაგან, სულ ერთია ქრისტიანი იქნება იგი თუ ოსმალი, მხოლოდ მისი გადაყენება საერთოდ ევროპიელ სახელმწიფოთა თანხმობით უნდა ხდებოდეს.

ამ წინადადებას არ ეთანხმება ავსტრო-ვენგრია. რუსეთის წინადადება მდგომარეობს შემდეგში: მაკედონიის გენერალი ინსპექტორს თან უნდა ახლოების მრჩევლებად რუსეთის და ავსტრიის აგნტი.

ამ უამაღ არსებობს მისი ამ ორ წინადადებათა შორის, რაიცა დიპლომატიური გზით გათავდება.

რაიცა შეეხება იმ საომარ მზადებას, რომელიც ვითომ რუსეთის და ოსმალეთის მხრივ ხდება, ევროპის პრესა ამას ძლიერ გულგრილად უუსრებს, რადგან ხმები ხშირად გადამეტებული არიან. და თუ კი ამის მსგავსი ხდება ეს მხოლოდ უბრალო დემონსტრაციათ უნდა ჩაითვალოს რომელიც უფლენთვის

დიპლომატიურ მოღვაწეებას მოგვება,

ამნაირად ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მიგვაყვანა  
ევროპის პრესაში:

ომი ახლო მომავალში არაა მოსალოდნელი,  
თადგან თსმალეთს არ ძალუმს ვისთანმე ომის დაწება  
მარტოდ, რომელიმე ეერთიერ სახელმწიფოს დახმარე-  
ბა კი ამ შემთხვევაში საერთო აურ ზაუქს გამოიწვევ-  
და ეფრთხის სახელმწიფოს შემთხვევაში. და ეს, რასაკირველია,  
არც აგრე ადგილი საქმეა, შეიძლება რამდენიმე წლის  
შემდებ ეს შეტაქება აუცილებელი გახდეს, მაგრამ ასე-  
თი თმი აგრე უცბად არ დაიწება, რადგან დღევან-  
დელი დროის ომი აგრე აღვილი დასწყები არ  
არის, მას ყოველთვის წინ მოსდევს უფრო რთული  
მომზადება და ფინანსიური ცვლილებანი.

დასასრულ ორიოდე სიტყვა შესახებ რუსეთის  
ახალ საგარეო პოლიტიკისა. ყოველი კავკასიელი-  
სათვის ცხადია. თუ რამდენი ფული იხარჯება ამ  
უამაღ რუსეთის გავლენის გასაძლიერებლად სპარ-  
სეთში, ამას თან მიუმატოთ ინგლის-რუსეთის ხელ-  
შეკრულობა შესახებ სპარსეთისა, რაიცა ბევრს  
შრომას მოითხოვს რუსეთიდან და უფრო სერიო-  
ზული მნიშვნელობა აქვს რუსეთის საგარეო პოლი-  
ტიკისთვის. ამას გარდა ამ უამაღ სახელმწიფო სა-  
თათბიროში აღძრული კითხვა შესახებ ამჟრის  
რკინის გზისა ნათლად ამტკიცებს, რომ მართებ-  
ლობა მთავარ ყურადღებას აქცევს შორეულ აღმო-  
სავლეთში თვის წინანდელი გავლენის და ძალის  
აღდგენას.

თუმცა დღევანდელ დროს ჩვენ ყოველ მოუ-  
ლოდნელ მოვლენას ვართ შეჩევული, მაგრამ ამ  
თრი უკანაკედნელი საკითხის გადაწევეტა იმდენათ იშუ-  
რობს რესეთის შართებლობის უურადღებას, რომ შეუ-  
დებელია ამავე დროს ბალკანის მდგრადება უფრო  
გააწვავოს.

დ. ლ.



## ასალი ამბები და შენიშვნები.

\* \* 4 იყნისისათვის დანიშნულია მორიგი  
კრება იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუ-  
ტატებისა ქუთაისში. ამ კრებას, როგორც მათი მეუ-  
ფების, ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის

გიორგის მოწერილობიდან სჩანს, განსახილველად  
და გარდასაწყვეტად იქვსთ 1) საწავლებლის სამშარ-  
თველოს ორი წევრის აღრჩევა სამღვდელოების შერით  
2) გამონახვა ფულებისა, 3000 მ. რომელიც ვერ  
გადაუხდია სანთლის საწყობს; 3) გაკეთება ფეხის  
აღიღლებისა ცალკაცე სმოტრიტლისა და მისი თა-  
ნაშემწისათვის; 4) გამონახვა ფულებისა ერთი შვეი-  
ცარის და ორის მოსამსახურისათვის, რომელიც  
სხვა მოსამსახურეთა ზედმეტად უნდა იყვნენ სმოტ-  
რიტლისა და მისი თანაშემწისათვის; 5) სამი მხრით  
შემოღობვა სასწავლებლის ეზოსი, 6) კაპიტალური  
რემონტი სასწავლებლის სახლის და ეკვლებისა;  
7) გამონახვა საშუალებათა სასწავლებლის შენახვი-  
სათვის გარდა ნორმალური კლასების მოსამსახურეთ  
პირველი სეკტემბრიდან 31 დემბრიდან 1908 წ.  
8) გამონახვა საშუალებათა სასწავლებლის მღვდლის  
ჯამაგირის მოსამატებლად; 9) გამონახვა საშუალებათა  
ბინის ფულისათვის ზედამხედვლისა; 10) გადახდა  
30 მანეთისა რომელიც სესხებით მიუკით  
ნადზირატლისთვის, 11) გამონახვა ფულებისა ტე-  
ლეფონის გასამართავად სასწავლებელში; 12) გა-  
მონახვა ფულებისა დასაწყისი სკოლის გახსნისთ-  
ვის; 13) გამონხვა ფულებისა შეორე ნადზირატ-  
ლის ჯამაგირისათვის; 14) ეპარქიალური ქალების  
სასწავლებლის საქმეებისამერ და 15) მსჯელობა  
იმერეთის ეპარქიის სანთლისა და საეკულესიო ნივ-  
ნების საწყობების საქმეებისამებრ. ამასთან ითხო-  
ვება მთავრობისაგან, რომ რწმუნების მოწმობები  
უნდა ჰქონდეს სამღვდელოების დეპუტატებისაგანო.

არა გვჯერა, რომ სამღვდელოებამ ეს უკანაკუ-  
ნელი მოთხოვნილება აღასრულობს. კრებაზე გა-  
მოცხადდებიან ისინი ვისაც შვილები ყავსთ სას-  
წავლებლებში და ყველაფერზე დათანხმდებიან და  
სრულებით არ დაგიდევენ საიდგან შეიტანონ ეს ფუ-  
ლები სამღვდელოებამ. წინანდელი თხოვნა სამღვ-  
დელოების კრებისა არ არის შეწყნარებული. მთელს  
რუსეთში ყველგან ნორმალური სასწავლებლები,  
კათედრის საკრებულოს ტაძრების, ეპისკოპოსების  
კანცელარიების და კონსისტორიების ხარჯი  
ხაზინას აქვს მიღებული და სამღვდელოებას არა  
ხდება. რა. ჩვენში კი ერთი გროში ხაზინის ფული  
არ იხარჯება და ყველა ამ ხარჯებს სამღვდელოე-  
ბის ფულებიდან ითხოვენ!..

\* \* \* **აკაპის იუბილე.** ჩვენი მხურები და თა-  
ხელოვანი პოეტი აკაპი პეტერბურლიდან ჩამოვიდა  
წარსულ სამშაფთას. პოეტი უედარებით ჯანმრთე-  
ლად არის. წელს შემოდგომაზე შეურულდება ორ-  
მოც-და ათი წელსწადი, რაც პოეტი მოღვაწეობს  
ეროვნულ მწერლობის ასპარეზზე. უეჭველია ქარ-  
თველობა შესაფერის ელფერით და დიდებით გა-  
დახდის თავის ვალს ბუმბერაზ მგოსნის წინაშე.  
ყველა ჩვენი ეროვნული დაწესებულებანი, რო-  
მელთა დაარსებაში ურევია მგოსნს მაღლიანი ხე-  
ლი, ერთად შეიკრიბებიან, რათა პატივი სცენ პო-  
ეტის შესანიშნავ და სამაგალითო ღვაწლს. ქართ-  
ველი ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ გაწეულს.

(„ნიშ.“)

\* \* \* **ახალი უზრნალი „მოწაფე“.** ტფილი-  
სის მოზარდ ახალგაზრდობას—მოწაფეებს კ გუ-  
ლიაშვილის ინიციატორობით განუზრახავთ გამოს-  
ცენ ახალი უზრნალი „მოწაფე“, რომელშიაც უმ-  
თავრესად ოვით მოწაფენი მიიღებენ მონაწილობას.  
სიამოვნებით მიკეთებებით რა ამ კულტურულ გან-  
ზრახვას, სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოზარ-  
დი ახალ გაზრდობა შესძლებს ლირსეულად აწარ-  
მოვის თავისი ნორჩი საქმე, რაზგან, რამდენადაც  
ჩვენ ვიცით, მაგისტვის ტფილისის ქართველ მოწა-  
ფეთ საქმაო ცოდნაც შესწევთ, ნიჭიც და უნარიც.

\* \* \* **სალდათის მოკავლა.** „რეჩ-ში დაბეჭდი-  
ლია: „ქალაქ ხერსონში 7 მაისს შემდეგი უბედურება  
მოხდა: სალდათმა დეკანოსიძემ, როტის უფროსის  
კავიშჩუკის რაღაც შენიშვნით უკმაყოფილომ, სტა-  
ცა ხელი რკინის დიდ ჩაქერების და დაუშრია კავიშ-  
ჩუკს. ხმაურობაზე გაჩნდა ფელტფებელი კრავჩენკო,  
რომელმაც იძრო ხმალი და დაუშრია ჩეხა დეკანო-  
სიძეს. როდესაც ხმლით ვერაფერი დააკლო, ამოი-  
ლო რევოლვერი, ორჯერ ესროლა და იქვე მოჰკლა.„

\* \* \* თფილისის ვაჭართა შორის მოლაპარაკებაა  
სასტიკი ღონისძიებანი იხმარონ შანტაჟისტების  
წინააღმდეგ.

\* \* \* **დაკატიმირიხა ჟვეიცარიაში.** როგორც  
„გოლოს მოსკო“-ს უნავიდან ატყობინებენ, იქ  
დაუპატიმირებით რამოდნიმე კაცი, რომელთაც  
აბრალვენ ტფილისში ერევნის მოედნიდან ფულის  
გატაცებაში მონაწილეობის მიღებას.



**სწავლა და მეცნიერება ქრისტია-  
ნობის სამართლებასა და კეთილ-  
ზნეობაზე.**

## ჩვენი გრჩები

მაშინ შეახო თვალთა მათთა  
და რქვა მათ: სარწმუნოებისა თქვე-  
ნისაგრ გეყავნ თქვენ. და მეყსეულად  
აღეხილნეს თვალნი მათნი.

ერთ დროს იქსო ქრისტე იმყოფებოდა კაპერ-  
ნაუმის ქალაქის ახლოს შემდეგ იაიროსის ქალის აღ-  
დგინებასა . აქ იქსო ქრისტე მისღევდა ორი ბრმა  
და დაუცხრომელად ლალადებდენ: შევვიწყალე ჩვენ  
იქსო ძეო დავთისო! როცა ქრისტე შევიდა სახლ-  
ში ეს ბრმები მიუახლოვდენ ქრისტეს და ეველე-  
ბოდენ შეწყალებას. იქსო ქრისტემ უხხრა მათ:  
გრწამსა ვითარმებ ძალ-მის ესე ყოფად? რქვეს მას:  
ჰე, უფალო. მაშინ შეახო ხელი თვალთა მათთა და  
რქვა მათ: სარწმუნოებისა თქვენისაგრ გეყავნ  
თქვენ და მეყსეულად აღეხილნეს თვალნი მათნი.  
იქსო ქრისტემ შერისხა იგინი და უხხრა, რომ არა-  
ვის უხხრან. მაგრამ ისინი გამოვილნენ თუ არა  
ყველგან მოფინეს და შეატყობინეს ყველის რაც  
უყო მათ უფალმა. ესეთი მოწყალება უყო ამ ბრმე-  
ბით, რომელთაც არა ვითარი დამსახურება არა  
ჰქონდათ ამ მოწყალებისა, გარდა ერთი სარწმუ-  
ნოებისა. იქსო ქრისტესავის, რომელიც არის  
ნათელი და ნათლის მომნიჭებელი საქმაო იყო  
ეთქვა სიტყვა და სიტყვა საქმით ასრულდა. ბრმათ  
აღიარეს სარწმუნება და სარწმუნოებისათვის მიენი-  
კა მათ თვალთა მზერა. ესეთი დიღიდა და სასიამოვ-  
ნო ღვთისათვის წრიფელი სარწმუნოება მის ყოვ-  
ლად შემძლებლობაზე.


გვაქეს თუ არა ჩვენ, ძმანო, სარწმუნოება? თუ გვაქეს მაშინ ჩვენც ვიხილავთ ღვთის გასაკვირელ საქმეთა ჩვენს ხორციელ და სულიერ ცხოვრებაში. ღვთის გამოცხადებისამებრ უფალი ჩვენთან არის ყოველთვის, მე თქვენთანა გარ უთველთვის და დასასრულამდე ამა ქვეუნისა. მე ყოველთვის ვხედავ მის საწაულებს და მოწყალებას ყოველ დღეს ჩემს ცხოვრებაში და ვაღიდებ მის მოწყალებას. როდესაც მე ვამბობ სახარებაში მოთხოვობილ ბრძებზე და მათ სასწაულებრივათ განკურნებაზე იესო ქრისტესაგან მათი სარწმუნოებისათვის, მე მაგონდება სხვა ნაირი ბრძები, ბრძები, რომელნიც შეპყრობილნი არიან სულიერი სიბრმავით, რომელიც ბევრათ უფრო საშიშო და დამღლუპველი არის სხეულის სიბრმავეზე. ეს არის სიბრმავე უსწავლელთა ან ქარბად სწავლა მიმღებთა ქსლანდელი დროის ზოგიერთ პირთა, რომელნიც სიბრძნით შექმნილ ქვეყნიერებაში ღვთის მოქმედებას და განგებულებას ვერა ხელვენ, არამედ რაცხვენ ამ ქმნილებათა რაღაცა უბრალო შემთხვევით და თავიანთ გაჩენასაც მიაწერენ რაღაცა გაუგებარ უბრალო შემთხვევას და ამიტომ თავის სიცოცხლეს რაცხვენ რაღაცა სათამაშოდ და როცა ეს სათამაშო აღარ ართობს მათ დაუზოგველათ ამტკრევენ მას, ესე იგი თავს იკვლენ. ან ჩაიღენენ რამდენიმე ბოროტ მოქმედებას სხვაზე და გაერთობიან სხვა კაცთა უბედურებით. ეს სიბრმავე უმეტესად როგორც მათთვის ისე საზოგადოებისთვის დამღლუპველია, რომ ამისთანა ხალხი თავის თავს რაცხვენ მხედველად, განათლებულად და კეთილადაც, ხოლო სხვას ჟველას, რომელნიც მათი ჯუფის არ არიან — გაუნათლებლად, საზიზლრებად. ვკითხულობთ რა ყოველ დღე ცნობებს სხვა და სხვა შემთხვევბზე ჩვენ უტყობილობთ კაცის კვლას, თავის მკვლელობას, ლოთობას, გარყვილებას, მოტაცებას ცარცვა-გლეჯას საზოგადოების კუთვნილებათა მთელი ქალაქების, დაბების და სოფლების გადაწვა და გადაბუგვით. როდესაც შევიტყობთ ამ უბედურებათა რაოდენობას და შემთხვევათა ჩვენ მივღივართ იმ დასკვნამდის რომ ეს ხალხი განშორდნენ გაქრა, მათში სარწმუნოება და გაშორდენ იგინი ღვთის ეკლე-

სის, რომ იგინი დაბრმავდენ და დაბოლიალობენ სიბრმავეში და აღარა იციან თუ რას ელტვიან და რა შედეგი ექნება ცველა ამას. ჰოი ბოროტ დროვი! ჰოი ურწმუნოების დროვი. ჰოი დროვი, რომელიც მომასწავებელი ხარ საშინელი განსჯის დღისა. ეკრძალეთ, ძმანო, ამ სარწმუნოების სიბრმავეს, ამ სირევენეს. ბოდიში ვიხთი ამ სიტყვის ხმარებისათვის და მართალი უნდა გითხრათ სხვა სიტყვით არ შემიძლია გამოისთვება ის რასაც ჩადიან ეს ბატონები. სად არის ხალხში განათლების სისპეტაკე, განათლება სინდისისა? როგორ განქრა მათში განათლება სარწმუნოებისა?

არის მეორე გვარი სიბრმავე სულიერი, არის სიბრმავე მდაბიო ხალხისა, რომელმაც არ იცის სულ უსაჭიროები სარწმუნოების კეშმარიტებანი და ქრისტიანული ცხოვრების კანონები. გარნა ეს სიბრმავე მისატევებელია იმ სიბრმავეზე, რომელზედაცა ზემოთ ვსთქვით: ეს სიბრმავე უნდაბლიერია.

მტკიცებ სდეგათ, ძმანო, თავის ქრისტეს ეკკლესის სარწმუნოებაზე, რომელიც გასწავებს თქვენ ყოველივე კეთილს, სასარგებლოს, წმინდას, სულისთვის სასარგებლოს; ნუ უსმენთ ეხლანდელ სულელთა, რომელთაც მასწავლებელიად ჟყავთ ეშმაკი და ამბობენ, რომ ქრისტიანე ხალხის აზროვნება გარყენან, გქონდეს თქვენს ცხოვრებაში შიში ღვთისა; გახსოვდეთ ნიაღაგ რომ საშიშო არი მეორედ მოსვლა ქრისტესი და მისი სშინელი განსჯა მოყლი ქვეყნისათვის და გულს მოღინეთ აღასრულებ მცნება უფლისა და თქვენი მოწოდება. აწავლეთ სარწმუნოება და აღასრულებ ღვთის ნება. მიიღეთ განათლება და განათლდით, მიიღეთ კურთხევა, გასწორდით, აკურთხებდით და იკურთხებოდით ამინ.

ღმბ. ი. სერგიევი

 ვეტარ იზვენ მჟღილობის-მყოფელი.

(თარგმანი)

ცხრამეტი საუკუნე გავიდა მას შემდეგ რაც დედა-მიწაზე გაისმა ტკბილ-სასიამოვნო გალობა ანგელოზთა: „დიდება მაღალთაშინა ღმერთისა, ქვე-

ყანასა ზედა მშვიდობა“ ქრისტემ, ემშვიდობებოდა  
რა თავის მოწაფეებს, უთხრა: მშვიდობასა დაგიტე-  
ვებ თქვენ, მშვიდობასა ჩემსა მიქცემ თქვენ“  
(ითან. 14, 27).

მიუხედავად ამისა, ცხოვრების ხმაურობიან  
გზაზე მაინც არ სცხრება სასტიკი მღელვარება. გაშმაგებული ტალღები ერთმანეთში ირევიან, ქაფ-  
დებიან და ნაპირებს აწყდებიან. საშინელი კვნესა  
გაისმის კველგან; ღრიანცელი და ხმაურობა არ  
სცხრება. ჯავრობს ზღვა, ემდურება მღელვარებას.  
წინანდელი მოწმენდილი და მშვიდი ცა ეხლა შავი  
ღრუბლებით დაიფარა. ხალხი ჰკვნესის, სტირის  
და სხივის მღველვარებაზე, მაგრამ არ იცის საიდა-  
გან წარმოსდგება იგი. და ჩვენს გულში-კი მღელ-  
ვარება, ჩვენს ერთმანეთის განწყობილებაშია მღელ-  
ვარება: გაშმაგებული ტალღები—ეს განხეთქილება,  
მტრობა, უთანხმოება; შავი ღრუბლები—ეს ბო-  
როტება და სიძულვილია. სად არის სიყვარული?  
საღაა მმობა? საღაა ერთმანეთის პატიება და ნდო-  
ბა? იმ ხალხს, რომლებსაც მიაჩნიათ თავის თავი  
ჩვენ მიმდევრად, ზოგჯერ არც-კი უნდა გაიგონოს  
ლაპარაკი ძმობაზე, თავის თავი მიაჩნია მხოლოდ  
მორწმუნედ და კეთილად, ხოლო სხვები ურწმუ-  
ნოდ და გარყვნილად. ხალხი-კი, რომელმაც სარ-  
წმუნოება დაპარგა... ღმერთო ჩემო!... ის დას-  
ცინის, მასხარად იგდებს სხვის სიწმინდეს...

უფალო! დიდხანს გასტანს კილევ მღელვარე-  
ბა? აღარ არის მშვიდობა არსად. თუ წარმოვიდ-  
გენთ ჩვენ, როგორ სცხოვრობდა ხალხი წინათ,  
ან როგორ სცხოვრობს ეხლა,—ჩვენ დავინახავთ  
რომ მთელი ათასი წლები ერთმანეთს მტრობენ;  
საშინელი ომები ათასობით ღუპამენ უდროვოდ  
ხალხს; რაღაც ბოროტი სიხარულით ხალხი სვამს  
თავის მოყვასის სისხლს... რა ხდება საზოგადოე-  
ბაში?.. რა ხდება ოჯახში?.. რა ხდება ცველა  
ჩვენში?.. მაგრამ კმარა, კმარა! სჯობიან არ ვიღა-  
პარაკოთ! ყველა ჩვენ ვხედავთ, რომ არ არის ქვეყ-  
ნად სანატრელი მშვიდობა; არ არის ის მშვიდობა,  
რომელიც გვახარა უფალმა იქსო ქრისტემ, მოს-  
რულმა ქვეყნად ცველას „შორიელთა და მახლო-  
ბელთა“ (ეფ. 2, 17). „მშვიდობასა დაგიტევებ  
თქვენ, მშვიდობა! ჩემსა მიგცემ თქვენ“ ეუბნე-  
ბოდა ქრისტე გამოსამშვიდობებელ საუბარში მო-  
წაფეებს (ითან. 14, 27). უფალო! საღაა ეს მშვი-

დობა, რომელიც შენ დასტოვე? ვინ გაბედა და-  
ერლვია შენი ალთქმა? ვინ ჩამოაგდო მღელვარება  
ცხოვრების ზღვაზე? ვინ აღძრა კვნესა, რომელიც  
ისმის მასზე? ვინ, თუ არა ჩვენ თითონ? ვინ, თუ  
არა ჩვენმა ამპარტავნობამ, ჩვენმა თავმოყვარეობამ?  
ჩვენ ნამეტანი თავმოყვარეები ვართ, რომ სხვისი  
ტანჯვა დავინახოთ,—ჩვენ ვიცნობთ მარტო ჩვენ  
თავს, და სხვების დარდი-კი არა გვაქვს. ჩვენ ვართ  
მიზეზი იმ მღელვარებისა, რომლიდანაც ვიტანჯე-  
ბით; ჩვენ თვითონ განვაგდეთ ჩვენგან მშვიდობა  
და სიყვარული...

წინასწარ იცოდა ეს ქრისტემ და სთქვა: „ნე-  
ტარ-იყვნენ მშვიდობის მყოფელნი“. რანაირი საყ-  
ვედურით ხვდება ჩვენ სინილის ეს მშვიდი მოწო-  
დება მაცხოვრისა. ნეტარ არიან ისინი, რომელნიც  
ჰყოფენ მშვიდობას;—ჩვენ-კი იგი სრულიად გან-  
ვაგდეთ, ნეტარ არიან, რომელნიც ამშვიდებენ  
მღელვარებას გულისას,—ჩვენ-კი ვთესავთ მტრობას  
და ბოროტებას. ნეტარ-იყვნენ მშვიდობის მყო-  
ფელნი... მშვიდობის-მყოფელნი! ამ ერთ სიტყვაში  
ასეთი დიდი კეთილი საქმეა, რომ მისი ერთი შეუ-  
რაცხოფა სასირცხვილო ჩვენთვის წინაშე ღვთისა,  
წინაშე ჩვენი სინიდისისა. არა გვაქვს ჩვენ ნაწილი  
ნეტარებაში მშვიდობის-მყოფელთათანა,

გარნა, ძმანო, დიდი ხანი გასტანს მღელვა-  
რება? ნუ-თუ ამ ცხოვრების მღელვარებას ბოლო  
არ ექნება? ნუთუ არ დასცხრება ჩვენ შორის  
მტრობა, უთანხმოება? ოხ, ეხლაც რომ ვინჩემ,  
როგორც თდესლაც გალილეას ზღვაზე, უთხრას  
მღელვარებას: „დაჩუმდი, დასცხეს!“. ქარი და  
ზღვა გაუგონებდნენ მას! იქ გალილეას ზღვაზე  
იყო ქრისტე, იქ იყო ძე ღვოისა, იქ იყო ღმერთი,  
რომელმაც ჟეკემნა ცა და დედა-მიწა, რომელიც  
განაგებს ქარსა და მღელვარებას. მხოლოდ ცხოვ-  
რების მღელვარება ჩვენ თითონ შევემნით, თი-  
თონ ჩვენ დავთესეთ მტრობა, ჩვენ თითონ ვაჯავ-  
რებთ ერთმანეთს. და ამაში რომელიმე ხალხი-კი  
არ არის დამნაშავე; არა, ჩვენ ყველანი დამნაშავე-  
ნი ვართ. ჩვენ თითონ შევემნით მღელვარება და  
ჩვენ თითონვე უნდა დავამშვიდოთ იგი. ის სწო-  
რეთ აქ არიან საჭირონი მშვიდობის-მყოფელნი,  
და მართლაც ნეტარნი არიან იგინი.

მაგრამ ჩვენ დროში, ცხოვრების ასეთ გაჭირ-  
ვებაში, ძნელია ჩვენთვის მშვიდობის-მყოფლობა?

— დიახ, ძნელია, მაგრამ იმდენი ცხოვრების გა-  
კირვების გამო-კი არა, რამდენიც ჩვენი გულის  
ამპარტავნობისაგან.

როგორ ვიზრუნებთ ჩვენ ხალხთა შორის მშვი-  
ლობაზე, როცა ჩვენ საკუთარ გულში დუღს მდელ-  
ვარება სამდურავისა! როგორ ვიფიქრებთ ჩვენ, რომ  
სხვებმა იცხოვრონ მშვილობაში და თანხმო-  
ბაში, თუ-კი თათონ ჩვენ მოკლებულნი ვიქნებით  
სიწყნარეს მოთმინებას და დიდ-სულოვანობას, ურო-  
მლებოლაც მშვილობა არ შეიძლება? როგორ  
დავიცვამ მე ჩემი მოყვასის სულში მშვილობას,  
თუ რომ ერთი უსამოვნო სიტყვა იწვევს ჩემში  
მრისხანებას? დიახ, თუ ესეა, მაშინ, რასაკვირვე-  
ლია, მცნება მშვილობაზე ძნელი და შეუძლებელია,  
და ამისთვის ნეტარება მშვილობის-მყოფელთა ჩვენ-  
თვის უცხოა და შორია.

მართალია, ჩვენ ცოტას ვაკეთებთ საზოგადო  
მშვილობისთვის, მაგრამ ჩვენ გვინდა მშვილობა,  
ჩვენ მივეგანდაფებით მისკენ. კარგია ესეც. მაგრამ  
ქრისტემ სთქვა, რომ ნეტარნი არიან არა „რო-  
მელთა შიოდეთ და სწყუროდეთ მშვილობა“, არა-  
მედ ნეტარნი არიან „შშვიდობის-მყოფელნი“. ისინი-  
კი არ არიან ნეტარნი, რომელთაც მხოლოდ სიტყ-  
ვით უნდათ მშვილობა, არამედ ნეტარ-არიან რო-  
მელნიც ნამდვილად მშვილობას ჰყოფენ. აქედგან  
ჩვენ შეგვიძლიან დავინახოთ, რამდენად დიდი და  
საჭიროა მშვილობის-მყოფლობა, და როგორ უნდა  
შევასრულოთ იგი. მოვიგონოთ მაგალითები წმინ-  
დანთა, რომელთაც დაგვიტოვეს ჩვენ ნამდვილი  
ნიმუშები ამ სიკეთისა. მოვიგონოთ წმ. გრიგორი  
ლვთისმეტყველი, რომელიც პატრიარხობაზედ უარს  
ამობდა იმსთვის მხოლოდ, რომ დაემშვიდებინა  
შურის მღელვარება თავის უკავშირო მოცი-  
ლებში. მოვიგონოთ იოანნე მოწყალე, რომელმაც  
სამართლიანად დასაჯა თავისი სამღელო კრე-  
ბული და შემდეგ დიდის ბოლიშის-თხოვნით შენ-  
დობა მოსთხოვა მას, რადგანაც კრებული გან-  
რისხდა მასზე. აი ნამდვილი ნიმუშები-მშვილობისა!  
აი ვის უნდა მივბაძოთ ჩვენ! აი როგორ უნდა  
ჩამოვაღით მშვილობა ჩვენ მოყვასთა შორის. მაგ-  
რამ პირველად უნდა დავამშვილოთ მღელვარება  
ჩვენის საკუთარის გულისა, პირველად ჩვენ უნდა  
უარ-ვყოთ თავის-მოყვარეობა, ამპარტავნება, ჩვენ-  
ში უნდა აღვარდოთ სული მშვილობისა, და ამით


ბევრს მშვილობას შევიტანთ ცხოვრებაში. არ უნდა  
ვიამპარტავნოთ არც თავის სარწმუნოებით, არც  
თავის ურწმუნოებით, არც თავის განციონარებით.  
არ უნდა გავკიცხოთ სხვა, არ უნდა ვეპენეულობ-  
დეთ სხვაში, უნდობლობა არ უნდა გვქოდეს ჩვენ  
მოყვასთან, არამედ მთელის გულით უნდა შევიყ-  
ვაროთ იგი, ვინც უნდა იყვეს, და როგორიც  
უნდა აყვეს. აი მთლად უბეღურება იმაშია, მთლად  
ავადმყოფობა ჩვენის დროისა, რომ ჩვენ გავეყავით  
ერთმანეთს, დაგვავიწყდა, რომ ყველანი ჩვენ ძმანი  
ვართ ქრისტეს მიერ.

ძმანო! თუ ვინმეშ შეურაცხება მოგვაყენა  
ჩვენ, ავიტანოთ იგი მოთმინებით, და მაშინ სინი-  
დისი ჩვენის შეურაცხემყოფლისა დაგვიბრუნებს  
ჩვენ იმას: ის თვათონ მონდომებს ჩვენთან შერი-  
გებას. მიუალერსოთ, განვამხნეოთ, ნუგეში ვცე  
ლარიბს, შევეწიოთ მას, და იმის სულში ჩვენ და-  
თესავთ მშვილობას. კეშმარიტების გზაზე მოვაბრუ-  
ნოთ შეცდომილი და ჩვენ შევარიგებთ მას ლმერთ-  
თან. კეთილის, გულწრფელი, ალერსიანი სიტყვით  
მოვაბრუნოთ მშვილობისა და სიკეთის გზაზე ისინი,  
ვინც არიან მიზეზი განხეთქილებით. ამ მიზნისთვის  
ჩვენ არაფერი არ უნდა დავზოგოთ. ქრისტემ აიტა-  
ნა ყველა შეურაცხება, დაცინვა, საშინელი ტან-  
ჯვა და სამარცვინო სიკვდილი ჯვარზედ ორ ავა-  
ზაკთა შუა იმისთვის, რომ შეერიგებინა ცულვილი  
კაცი ლმერთთან და მშვილობა მიეცა მორწმუნე-  
თავის. თავის მტანჯველებს იმან არ უთხრა არც  
ერთი ურიგო სიტყა. „მიაქცი მახვილი ადგილ-  
სავე თვისსა, უთხრა მან პეტრეს, რომელსაც უნ-  
დოდა მახვილით მოსარჩევება გაეწია მისთვის,  
„რამეთუ ყოველთა, რომელთა აღილონ მახვილი,  
მახვილითა წარჟსწყმდენ“ (მათ. 26, 52). „უკეთუ  
ბოროტსა ვეტყოდე; ჰერამე ბოროტისათვის, უთხ-  
რა იმან მღვდელ-მთავრის მოსამსახურეს რომელმაც  
დაარტყა მას, უკეთუ კეთილსა, რისისათვის მცემ?  
(იოან. 19, 23). ასე ყველა განურჩევლად უწოდებ-  
და უფალი მშვილობისა და თანხმობისადმი.

ოხ! ნეტავი მშვილობა და სიყვარული გამეფდეს  
ჩვენში! ერთმანეთისა ნუ გვეშინება, ნუ ვიამპარ-  
ტავნებთ, გადავაგდოთ ჩვენგან იქვეულობა, გა-  
დავაგდოთ უნდობლობა ერთმანეთისადმი და შე-  
ვერტდეთ ძმურ ოჯახად, რომლის თავიც ქრისტეა!  
იმის სახელით, ჩვენის შემრიგებლისა, მოუწოდს

ეკულესია ცველას, ვისი გულიც არ დაყრუებულა თავის-მოყვარეობისა და ამპარტავნობისაგან, ცველას, ვისოფერისაც მშვიდობა ქვეყნად, ვისაც გული შესტკივა თავის ძმების ტანჯვაზე, მოუწოდს: შეასრულოს აღთქმა ჩვენის მაცხოვრისა და მიემს-გავსოს მას, როგორც მაგალითს მშვიდობისას, მოთმინებისას და სიწყნარისას, რათა ჩვენც მივიღოთ მაღალი წოდება „ძეთა ღვთისათა“. იმ მაშინ შესწყდება ცხოვრების მღელვარება, მაშინ ამოვისუნთქავთ ჩვენ მსუბუქად და ვიტყვით: „ჭეშ-მარიტად ნეტარ-არიან მშვიდობის-მყოფელნი“!..

შლე. ითანენ დუკიანთვი.



## მიზნი „გამოსვლათა“.

ებრაელნი უნდა მომზადებულიყვნენ ეგვიპტი-დან განთავისუფლებისათვის. ის თვე, რომელშიც ლმერთმა ინება ებრაელთა განთავისუფლება უნდა ყოფილიყო ამიერიდან პირველ თვედ წელიწადში; უწინ ებრაელნი წელიწადს იწყებდნენ შემოდგო-მის პირველი თვით, რომელსაც ერქვა „ტიშრი“ და რომელიც ეთანაბრებოდა ენკენისთვის ბოლოს და ღვინობისთვის (მწიფობისთვის) დამლევს. ებლა კი ებრაელთ, განთავისუფლების შემდეგ, წელიწადი უნდა დაეწყო ახალი თვით, რომელითაც იწყებოდა გაზაფხული; ღვთის ნებით დრო ბუნების განახლე-ბის უნდა ყოფილიყო მისი წყალობის განახლების დროთ ებრაელთათვის. ამ ახალი თვის ათს რიცხვს ცველა ებრაელის ოჯახს უნდა ეშოვნა მამალი კრა-ვი (ვერძი), ერთი წლისა, უმანკო, უზადო, იგი არ უნდა ყოფილიყო არც ბრმა, არც შემუსვრილი, არც ენა-კვეთილი, არც ყურ კვეთილი არც განტე-ხილი, არც მღიერი (მუნიანი), არც მეფხანოანი (ქეციანი) (ლევ. 22,22);\*) თუ ოჯახი მცირე რი-ცხვოვანი იყო ასე რომ ერთი კრავის შეჭმა არ შეეძლო, მაშინ რავლებიმე ოჯახი ერთად უნდა შეერთებულიყო; აყვანილი კრავი უნდა შეენახათ ოთხი დღე და ახალი თვის თოთხმეტ რიცხვს სა-ლამოთი უნდა დაეკლათ; სისხლი ამ კრავისა უნდა წაესვათ ჯვარადინად კარებზე გარედან, როგორც ნიშანი მისი, რომ ამ სახლში სცხოვრებს ებრაელი; ეს კრავი მთლად დაუჭრელად უნდა შეეწვათ ნა-კვერცხალზე და შეეჭამათ დამე; თან უნდ შეეტა-

ნებინათ გაულვივარი პური ანუ ხმიადი და ველის ურდელი (ხავსი).

გაულვივარი პური არ არის ისე გემრიელი, როგორც გალვივებული; იმ პურს და მწარე ბალა-სებს უნდა გაეხსენებინათ ებრაელთათვის სიმწარე და შევიწროება ეგვიპტეში ცხოვრების ჟამს.

ცეცხლზე შემწვარი კრავი მთლად უნდა შეე-კამნათ ძვლების შეუმუსვრელელ; ხოლო თუ შეუ-კმელი დარჩებოდა რამე, ის მეორე დილას ცეცხლ-ში უნდა დაეწვათ. ჭამის დრო ებრაელი უნდა ყოფილიყვნენ ჩატმულ დახურულნი, წელ მორტ-ყმულნი, სამგზაროთ გამზადებულნი ებრაელებმა აღ-სრულეს ეს ბრძანება უფლისა მოსესგან გაღმოცე-მული.

შუა ღამეს დიდი ტირილი და წუხილი შეუ-ლგათ შეგვიპტელებს, რადგანაც მათ ცველას, მეფი-დან დაწყებული უკანასკნელ მონამდე, დაეხოცათ პირმშო შვილები და საქონელი, ებრაელები კი გა-დარჩენ. ფარაომ მოუწოდა მოსეს და არონს და ნება მისცა მათ წაეყვანათ ებრაელნი სალოცავად სამი დღის სავალზე დიღიდან პატარაიანად და საქო-ნელით. ებრაელმა ქალებმა გამუართვეს მევიპტე-ლებს ოქრო ვერცხლის ნივთები, როგორც წინა-თვე ნაბრძანები ჰქონდათ და წარვიდნენ ებრაელნი რამესით საქალითად; ესრეთ გამთიუჭანა უფალმან ძენი ისრაილისი ქვეუნით. (თ. 12).

კრავის დაკვლას და მის ჭამას ეწოდება „ზა-ტიკა უფლისა“; ზატიკი, ანუ განთავისუფლება, გა-მოხსნა, რედგანაც ამის შემდეგ იხსნა უფალმა ებ-რაელნი ეგვიპტიდან.

ახალი აღთქმის სალვონწერილის განმარტებით, ძველი აღთქმის კრავი ზატიკისა მოასწავებდა იესო ქრისტეს. აი მსგავსებაც. საზატიკო კრავი უნდა გამოერჩიათ მთელი ცხვრის ფარიდან, იესოც საუ-კუნეთგანვე წინაგანმხადებულ იყო კაცთა ნათესა-თათვის სავნებლად და როგორც ტარიგი დაკლულ იქნა დასაბამითგანვე სოფლისა (გამოცხ. 13,8); საზატიკო მსხვერპლისთვის საჭირო იყო ვერძი-მალი კრავი, აგრეთვე ქვეყნისთვის მსხვერპლად უნ-და შეწირულიყო დმირთ მამაკაცი, ძე ღვთისა, რო-მელმაც მიიღო ბუნება მამკაცისა; კრავი უნდა ამო-

\*) თუ კრავი რაიმე მიზეზის გამო არ იშოგებოდა; მაშინ შეიძლებოდა თხის თიკანიც გამოერჩიათ.

ერჩით უმანკო, უზადო, რომ მას არ ჰქონოდა რაიმე ხორციელი ნაკლი, ეგრეთვე იქსო ქრსტე-საც საღვთო წერილი უწოდებს წმიდად, უმანკოდ, შეუგინებლად, ცოდვილიაგან გან შორებულად, უბი-წოდ (1 პეტრე 1, 19; ებრ. 7, 29) და მიაწერს მას სისრულეს ღვთაებრივი კაცობრივი ბუნებისას; საზატიკო კრავი იკვლოდა მიმწუხრად—საღამოთი, იქსო ქრისტემაც ხორცითა სიკდილისა გემო იხი-ლა საღამოთი; კამის დროს კრავის ძვლები არ უნ-და შეემუშარათ, არც ქრისტეს ძვალი შემუსვრილა ჯვარ ცმის უამს; დაკულული კრავის სისხლის მეო-ხებით ურიანი უვნებლად და უზარალოდ გადარჩნენ მმუსვრელ ანგელოზს, მორწმუნებიც ქრისტეს სის-ხლით მოიხსნებინ ღვთის რისხვისაგან; კრავის ხორ-ცის ჭამა აკავშირებდა და აერთებდა ეპრაელებს ღმერთან, აგრეთვე მორწმუნებიც იქსოს სისხლის და ხორცის მიღებით მჭიდროდ უკავშირდებიან მას.

### ნაწილი მეორე თთ. XIII—XVIII.

ებრაელები დაბანაკდნენ სოქოს; აქ ღმერ-თმა გამოუტადა მოსეს რჯული ანუ კანონი პირ-მშოთა შეწირვის შესახებ. ებრაელის ყოველსავე ოჯახს უნდა შეეწირნა ღვთისათვის დედისგან შო-ბილი შვილი; აგრეთვე უნდა შეეწირათ პირველი შვილი ყოველივე ცხოვლისა; არა წმიდა ცხოველი, მაგალ. ვირი უნდა შეეცვალათ ცხერით, ან გამოესყიდ-ნათ. თუ შვილი ჰქითხვავდა მამას, რათა სწირავდა ის ღმერთს პირმშოს, მამას უნდა აეხსნა, რომ ეს იმი-სი სახსოვარია, როგორც შემუსრა ღმერთმან პირ-მშონი ეგვიპტისანი კაციდან პირუტყვამდე და გა-მოიხსნა ებრაელი ხელითა მტკიცითა მონებისაგან.

ეგვიპტიდან წამოსვლის დროს, მოსემ თან წამოიღო იოსების ძვლები, თანახმად მისი ანდერძისა; სოქოთიდამ აიშალნენ ებრაელი და წამოვიდნენ ოთომს უდაბნოში და იქ დაიბანაკეს. ღმერთი უძ-ლდა მათ სვეტითა ღრუბლისათა უჩეგნებდა მათ გზას და დამე სვეტითა ცეცხლისათა უნათებდა მათ (თ. 12).

გვემიდან გამოსული ებრაელი ალთქმის ქვე-ყანაში პირდაპირი სწორე გზით არ წასულიან; ისი-ნი, ღვთის ბრძანებით, გაემართნენ სამხრეთით, არა ჩვეულებრივი გზით, მეწამულ ზღვისკენ. ებრაელ-თა მგზავრობას ამ გვარმა მიმართულებამ შეცდომა-ში შეიყვანა ფარაო; მას ეგონა, რომ ებრაელებს გზა აერიათ; მიცვალებულთა დამარხვის შემდეგ, ფარაომ მოისურვა ებრაელების უკან მობრუნება,

და ადვილიც ეგონა ეს რაღგანაც, მისი აზრით, გზა-დაბნეული ებრაელნი უმიზნოთ დაღიძლ-ნენ უდაბნოში; ფარაომ შეაგროვა ცხენოსანი ჯარი და გამოედევნა ებრაელებს უკან; ებრაელნი შეშინდნენ და დაიწყეს დრტვინვა მოსეზე: „განა ეგვიპტეში აღარ იყო ჩვენთვის საკმარისი სასაფლავო აღვილი, რომ ამ უდაბნოში არ ამოვწყვეტილიყავით ეგვიპტ ელთაგ-ნაო?“ მოსემ, რომელიც გულმხურვალედ ლოცუ-ლობდა, დამშვიდა ხალხი და უთხრა: „უფალი ბრძო-დეს თქვენ წილ,“ ლრუბლის სვეტი ჩადგა ებრაელთა და ფაროს ჯარის შუა; მოსემ, ღვთის ბრძანებით, დაარტყა კვერთხი ზღვას, ამოვარდა ქარი, გაყო წყალი ორად, წყალი როგორც კედელი დადგა აქეთ იქით და გამოჩნდა ხმელი ფსკერი ზღვის; ებრაე-ლებმა მშვიდომით გაიარეს ზღვის ძირზე და გავი-დნენ მეორე ნაპირზე; მეგვიპტელებმა გაიგეს ური-ების მოძრაობა და გამოეიღნენ; მაგრამ ამ ღროს მოსემ, ღვთის ბრძანებით, განიპყრო ხელი ზღუაზე, წყალი შეერთდა და შთანთქა ფარაო მთელი მისი ჯარით. ამ დღეს სრულდა იხსნა უფალმან ერი თვა-სი სეჭთაგან მეგვიპტელთას (თ. 14).

მეწამული ზღვის წიაღსვლა ებრაელთაგან იყო სასწაულებრივი; მისი ახსნა არ შეიძლება რომე-ლიმე ბუნებრივი მოვლენით, მაგ. წყლის უკუ მი-ქცევით; მოსე ამობს, რომ ებრაელთა წიაღსვლის დროს წყალი იგი იყო ზღუდე მარჯნით მათდა და ზღუდე მარცხნით, რაც არა ხდება ზღვაში წყლის უკუმიქცევის დროს.

ამ წიაღსვლის ღიღი მნიშვნელობა ჰქონდა ებრაელთათვის; ამის შემდეგ ისინი სრულიად გან-თავისუფლდნენ წარმართ მეგვიპტეთა უღლისგან და შიში მეგვიპტელთაგან შეცვალა მათში ჭეშმარიტი ღვთის შიშით, მოკრძალებით მასდამი და ღვთის სარწმუნოებით. წმ. პაკლე მოციქულის აზრით, მეწამული ზღვის წიაღსვლა მოასწავებდა საიდუმლო ნათლისლებას. როგორც ებრაელნი, ზღვის წიაღ სვლით, გადარჩნენ დაღუბვას ფარაოს ჯარისაგან და მოსვრას, ეგრეთვე მორწმუნებიც საიდუმლო ნა-თლის ღებით იხნებიან სულიერი დაღუბვისაგან; გარდა ამისა ეკლესის სწავლით. „ზღვას მას ზედა მეწამულსა უქორწინებელისა სძლის სახე გამეისახო-და ლდესმე.“

ზღვის წიაღსვლის შემდეგ მოსემ და ყველა

ებრაელებმა შესწირეს მადლობა ღმერთსა; მათ სთქვეს სამადლობელი საგალობელი, რომელშიც გამოხატულია ძლიერება იეგოვასი, შიში, რომელმაც შეიბყრო მეზობელი ერები ფარაოს დალუპვის გამო და თხვონა, რომ ღმერთმა შემდეგშიც დაითვაროს ერი ისრაილისა მტრისაგან.

ზღვის ნაპირიდან ებრაელნი წავიდნენ სურისის უდაბნოში; გზაში მათ ძალიან გაუჭირდათ, რადგანაც სამი დღის განმავლობაში წყალი არ დაულევიათ; შემდეგ იგინი მოვიდნენ მერაოდა; აქ მათ წყალი ნახეს, მაგრამ სიმწარის გამო მისი დალევა არ შეიძლებოდა; ებრაელებმა დაიწყეს დრტვინვა მოსეზე; ღვთის ბრძანებით, მოსემ ჩააგდო ამ წყალში ძელი და წყალი დატკბა; აქედან წავიდნენ ებრაელნი სელიმში, სადაც ნახეს 12 წყარო და 70 ხე დანაჯის კუდისა ანუ ფინიკისა; აქ დაისვენეს (თ. 15.)

სელიმში დასვენების შემდეგ ურიანი წავიდნენ სინის უდაბნოში, რომელიც მდებარეობს სინა მთის და სელიმს შუა. კვალად იწყეს ებრაელებმა დრტვინვა მოსეზე და არონზე; მათ მოაგონდათ ეგვიპტე, სადაც მაძლრისათ სჭამდნენ ხორცია და პურსა. აქ უდაბნოში კი შიოდათ, ღმერთმა უბრძანა მოსეს: შწუხრი სტამეთ ხორცია და განთიად განხდეთ შურითა და სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი თქვენი. მართლაც საღამოთი დაუბერა ქარმა და მორცა ბევრი მწყერები, ურიები იქერდნენ და სჭამდნენ მათ; დილით კი მათ ნახეს, რომ დედამიწაზე ყარა: მწვევილი, ვითარცა ქანძის თესლი და სტეტა, ვითარცა თველი; ებრაელნი გაკისრვებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს რაი არს ესე? მოსემ უთხრა: ესე იგი არის ჰური, რომელიც შოგცა თქვენ უფალმან ჭამად; ეს იყო მანანა; ღვთის ბრძანებით ყველას საკარი მანანა უნდა შეეკრიბნა; ზოგმა სიხარბით მეტი შეკრიბნა და შეინახეს მეორე დღისათვის, მაგრამ ამ შენახულს მანანას დაერია მატლი. ის იყროლდა; ასე დაისაჯნენ ზოგნი გაუმაძლრობისათვის. მეექვეს დღეს კი ურიებმა აკრიფეს ორი დღის სამყოფი მანანა, რადგანაც მეშვიდე დღეს შაბათი იყო (თ. 16).

აქედან ურიები წავიდნენ რაფიდინის უდაბნოში; აქ მათ შემოაკლდათ წყალი და ჩვეულებრივ იწყეს დრტვინვა მოსეზე; ღვთის ბრძანებით, მოსემ კლდიდან გამოუდინა მათ წყალი. ამ უდაბნოში კლდიდან გამოუდინა მათ წყალი. აქ უდაბნოში შეტაკება ამაღევთან; ისომ, მოურიება მოუხდათ შეტაკება ამაღევთან.

სეს ბრძანებით, შეკრიბნა კაცნი ძლიერნი ებრაელთა შორის და შეება ამაღეკს; მოსე კი ხელ განურობით ლოცულობდა მთაზე. როცა მოსეს ხელები გაპყრობილი ეჭირა, მაშინ ებრაელნი სძლევდნენ მტერს, ხოლო; როცა ჩამოიშვებდა ხელებს, მაშინ ამაღეკი სძლევდა ებრაელებს. რადგანაც მოსეს არ შეეძლო დიდი ხანი განპყრობით სჭეროდა ხელები, ამიტომ არონმა და ორმა აქეთ იქიდან დაუჭირეს მას ხელები განპყრობით და ისომ საღამომდე შემუსრა მტერი. ამ ადგილზე სახსოვრად მოსემ აღა-შენა საკუთხეველი (თ. 17).

მოსეს სიმარმა იოთორ მღვდელმა გაიგო დაწვრილებით ამბავი ებრაელთა გამოსვლისა ეგვიპტიდან, გაიგო უფლის ძლიერება და წყალობა მისი ებრაელებზე; რაფიდინის უდაბნოში მან მიუყვანა მოსეს ცოლ-შვილი. — ერთს დღეს მოსემ ჩვეულებრივად იწყო თავის კარავის წინ გარჩევა სხვა და სხვა საქმეებისა; ყველა საქმეებს თვითონ არჩევდა და სწყვეტდა იოთორმა ზაინახა, რომ ძნელი იყო ერთი კაცისათვის ბევრი საქმეების გადაწყვეტა და გარჩევა და ურჩია ხალხს და მოსეს, რომ თვითონ ხალხს იმოერჩია პატიოსანი, ღვთის მოშიში, მართლი და ამპარტავნების მოძულე კაცები და დაედგინათ ისინი ათასის, ასის, ერგასის და ათის თავებათ და მწერლებათ; ამთ უნდა გადაწყვეტათ ყოველიგი მცირე მნიშვნელოვანი საქმე, ხოლო დიდი საქმის გადაწყვეტა უნდა მიენდოთ მოსესთვის. ყველას მოეწონა ეს რჩევა იოთორისა და იღასრულეს კიდეც იგი (თ. 18).

### ნაწილი მესამე თთ. XIX—XV.

ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ მესამე თვეს ებრაელნი მიყიდნენ სინას მთასთან და აქ დაბანაკ-დნენ. აქ ღმერთმა გამოუცხადა მოსეს, რომ მას სურს დასდევას ერთთან აღთქმა; ღმერთი, როგორც მეფე გამოირჩევს ებრაელებს ყველა სხვა ერთაგან; მოსემ გადასცა ერს ღვთის ბრძანება, ერმა უთხრა: ეთელი და არა ეთელი, რაცა სთქვა ღმერთმან ვისმინოთ და ვერთ; შემდეგ ღმერთმა უბრძანა ყველას; რომ შემდეგი თარი დღის განმავლობაში მომზადებულიყვნენ ღვთის მისაღებად, რომელიც გამოცხადებოდა ღრუბლითა და ელვა-ჭუხილში და რომ არავინ კაცთა და პირუტყვთაგანი არ მიკარებოდა მთას.

მესამე დღეს ღმერთი გამოაცხადა სინას მთაზე, ხალხი მიუახლოვდა მთას და ისმენდა ღვთისას, რომელიც ბრძანებდა სჯულს. (თ. 19).

ღმერმა მისცა ებრაელთ პირველად ათი მცნება, რომელმაც გამოსახულია დამოკიდებულება კაცისა ღმერთთან და მოყვასთან. პირველი ოთხი ცნება მოითხოვს კაცისგან სიყვარულს ერთის ღვთისას, უკრძალავს კერპთმსახურებას და ცრუმორქმნებას; კაცმა უბრალოდ არ უნდა წარსმოსთქვას ღვთის სახელი; კაცი უნდა პატივით ეპყრობოდეს მშობლებს და უველა კაცსაც; არ უნდა შეეხოს კაცი მოყვასის სიცოცხლეს, საკუთრებას, არ იმრუშოს, არ დასწამოს მას ცილი და საზოგადოდ არაფერი ვნება არ მიაყენოს მოყვასს. ეს მცნებანი წარმოთქმულ იქმნენ მთელი ერის სასმენლად (თ. 20).

გარდა ამისა, ღმერთმა მისცა მოსეს კანონები, ანუ სჯული და კანონები შესახებ მონებისა, ნებისით ანუ უნებლიერ მკვლელობისა, დედმამის შეურაცხყოფისა, ყრმათა ძალით მოტაცებისა და გაყიდვისა, ჩხუბის ღრის ცემისა და დაჭრისა ან მოკვლისა, ორსული ქალის ცემისა, შურის ძიებისა, ცხოველთაგან მოკვლისა; შესახებ საკუთრების დაცვისა, ქალწულთა შეურაცხყოფია, შესახებ მისანთა და კერპთმსახურთა, ქვრივთა და ობოლთა, შესახებ ღვთისთვის შეწირვისა მოსავლის პირველ ნაყოფთა და პირმშოთა, ნამხეცევი ხორცის არ ჭამისა; სჯული შესახებ მოსამართლეთა, მეშვიდე წლის და მეშვიდე დღის, ე. ი. შაბათის მოსვენებისა და სამი დღესასწაულის დაწესებისა; ეს დღესასწაულები არიან 1, უცომობისა 2, დღესასწაული პირველ ნაყოფთა მეტისა და 3, ნაყოფთა შეკრებისა წლის დამლექს; ღმერთმა ალუთქვა მათ მოვლინება ანგელოზისა, რომელიც წარუძლვებოდა ებრაელთ ალთქმის ქვეყანაში, სადაც მათ მოელოდათ ყოველი სიკეთე (თთ. 21, 22 და 23).

შემდეგ სჯულის მიცემისა, ღმერთმა უბრძანა მოსეს აეყვანა მთაზე არონი მისი შვილებით და სამოცდა ათი მოხუცებული ისრაილი; მოსემ გადასცა

სჯული ხალხსა, აღაშენა მთის ძირში საკურხეველი თორმეტ ქვისგან და უბრძანა 12 ქაბუკს შეეწირათ მსხვერპლი ღვთისათვის; მათაც შესწირეს მსხვერპლი; მოსემ შეაგროვა სისხლი დაკლულ სამსხვერპლო ცხოველთა და შთასისა სასმისში, ზოგი კი დააქცია სამსხვერპლოს გარშემო; შემდეგ მან წაუკითხა სჯულის წიგნი ხალხს; ხალხმა უთხრა უფერებელივე, რომელი სთქეა უფალმან, უფლო და ვისმინთ; შემდეგ მოსემ ასხური ხალხი სასმისში შეგროვილი სისხლით და უთხრა მათ: ეს სისხლი არს აღთქმისა, რომელი აღუთქვა უფალმან უფლო და ფერების სიტყვათა აშათ.— ყურადღების ღირსია ხალხის სხურება სისხლით; ეს სისხლი იყო დამტკიცება აღთქმისა ღვთისა და ხალხის შორის; მაგრამ ამგვარი მნიშვნელობა ჰქონდა მას მიტომ, რომ იგი მოასწავებდა მაცა ხოვნებელს სისხლს ქრისტიანს, რომლის სიკვდილმაც აღადგინა დარღვეული კავშირი ღწითის და კაცთა შორის.

შემდეგ მოსე და მოხუცებული ავიტნენ მთაზე, იხილეს ადგილი, სადაც იდგა უფალი ღმერთი ისრაილისა, თაყნანი სცეს მას და ჩამოვიდნენ; ამის შემდეგ მოსე მარტოკა ავიდა მთაზე, სადაც დაჰყო 40 დღელამე; დროებით თავისი თანამდებობა მოსემ გადასცა არონს და ორს (თ. 24).

მთაზე ყოფის ღრის მოსემ, სხვათა შორის, მიიღო ბრძანება იღეშენებინა კარაჭი საწამებელისა, რომელიც უნდა ყოფილიყო ებრაელთათვის შესაკრებებელ და სამლოცველო აღგილად.

### ვ ი ნ ა პ რ ს ი.

**სალითორატურო განცოცილება:** იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო, დამსწრე.— იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების საკურადღებოდ. „ამირანი“.— გიორგობა, არქიმ. პიროსისა.— რუსეთი და ოსმალეთი, დ. ლ.— ახალი ამბები და შენიშვნები.

**დაგენა და გაცნივრება ჩრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კათოლიკოზი:** ჩვენი ბრძები, დეკ. ი. სერგიევი.— ნეტარ იყვნენ მშეიღობის მყოფელნი. მღვ იოანნე ლუკიანოვისა,— წიგნი გამოსვლათა.— განცხადებანი.

მარკაზი

მ ე ნ უ თ ე

1908.

## სანაზორისი

დ ა

## საზავეულო სამეცნი

ექიმის კაზტანე დ. ლაშვილისა,

„პატარა—ცემაზი“, ბათუმის რაიონის გზაზე.

საზაფხულო  
მთის სატემო  
4400 ფუტის  
სიმაღლეზე.

„პატარა—ცემა“ მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, თრიალეთის ქედის ერთ-ერთ კალთაზე, ბაკურიანის რენის გზაზე, სადგურ ნიკოლაევისა და საკოჭავს შეუა, მაღმობ ვაკეზე, 4400 ფუტის ანუ 1340 მეტრის სიმაღლეზე. 230 ფუტით მაღალია აბასთუმანზე).

**მიმღებიან:** ვინც არის ნაავადმყოფარი, სხვა და სხვა სწორებისაგან დალლილ-დასუსტებული, მეტალრევისაც გამოვლილი აქვს განმეორებით: ინფლუენცია, ბრონჩიტი, ფილტვის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა; ვინც მაღა-დაკარგულია, სისხლ-ნაკლები, ნერვებ-აშლილი, ჭაობის ციებით ანუ ტყირაპის გადიდებით დასუსტებული; ვისაც სხეული დასძაბუნებია ჰაერის, სინათლისა და საზრდოს ნაკლებულობით, ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით; სტომაქისა და ნაწლევების აშლილობით დასწორებული, გონებით მოქანცულნი და საერთოდ ყველანი, ვისაც-კი სამკურნალო მეცნიერების რჩევით ესაჭიროება: ჰაერის გამოცვლა, დასვენება, სხეულის გამაგრება და ქალაქის მორიდება ცხელზაფხულის თვეებში.

**არ მიმღებიან:** მწოლიარე ავადმყოფნი, რომელიმე გადამდებ სენით შეპყრობილნი, ფილტვის სიკლეებით დაავადმყოფებულნი, სულით ავადმყოფნი და არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-აღვილს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს.

სამკურნალო საშუალებად არის დასახული:

- 1) მთის წინდა ჰაერი, მჩატე, გრილი, ფიტვის სუნით შეზავებული და უოველ-გვარ უსუფსაფას მოშორებული;
- 2) გრინგისა და სხეულის დასვენება, სრული მეუღლობა, შეა-გულ ტექში ყოფნა, უსიამოვნო ხმაურობის მოშორებით;
- 3) უხვი საზოდოობა დღეში ხუფები: საზომე დილის 8 ს., მეორე 10 ს., სადა-და 1 ს., სამხარ 4 ს., განშამი 7 ს., 4) წელით მქონება;
- 5) სხვა და სხვა გვარი შექცევა-თანამდება;
- 6) სამკურნალო გარჯოშობა;
- 7) სახალისო და გასათობი სამუშაო და სხვა და სხვა სეჭ-საჭმე, სააღვილო და სხეულისათვის მარგებელი თვითეულის აგებულებასთან შერჩეული;
- 8) ჯგუფებად სეირნობა და მოგზაურობა ახლო მიდამოებში, და სხ.

უოველი ზემოსენებული საშუალება შემოდებულია შეცნიერებისაგან დამტკაცებულ წესისამებრ და კერძოდ თვითეულის აგებულებასთან არის შეფარდებული, ექიმის მუდმივ სელმიდგანელობით.

**დაწერილებით ცნობების შესატემიდან შეურველო უნდა მიმართონ ექიმს გასტრანგ დაჭითის ქას დამბაშიძეს, მაისის 31-მდე ქაღაქ თბილისს, შემდეგ-კი ბორჯობით, ზაფრანა-ცემის სანატორიუმში.**

**მისასვლელი გზა:** ბორჯომიდგან არ საათის სავალზე, ბაკურიანის რენის გზით, ბე-25 ვერსზე სადგურ ნიგოდავეფს შემდეგ საკუთარი ბაქანია: „ლაბაზის ბაქანი“, (ლატფორმა) სადაც უოველი სახალხო მატარებელი ჩერდება საკუთარ სანატორიუმისათვის.

**მაცრაობებლების მიმასვლა ბორჯომიდგან ბაკურიანამდე და უკან—დღეში ორჯელ.**